1201 F2698 №13720


# გურიის ერობის მოამბე

№2 ფასი 3 მანეთი

ერობის ყოველკვირეული გაზეთი

ოთხშაბათი 7 იანვარი 1920 წელი ქ. ოზურგეთი


დიდმა რევოლიუციამ დაანგრია, ძირბუდიანათ აღმოფხრა ძველი წესწყობილება. ამით მან დიდი ბედნიერება მოგვიტანა, მაგრამ ამ ძველის ნგრევას მოყვა ყოველ ნაირი პასუხის გების შესუსტება, მართვა გამგეობის პრინციპის მოშლა და ამან დიდი დაბრკოლება შეიტანა როგორც რევოლიუციის ორგანიზაციაში კიდევ უფრო მეტი სახელმწიფო აღმშენებლობაში. ყველა მოქალაქემ' ფავისებურათ გაიგო თავისუფლება და გამოაცხადა თავი არა მარტო ძველი წესების, არამედ ყოველ-ნაირ წესების გარეშე.

გარდამავალ ხანაში, როცა რევოლიუციონური წესრიგი ეწყობოდა, მას თავისი ორგანიზაცია და ტრადიციები ქონდა. რევოლიუციონური მასის ალტყინება ძველის დასამარებაში იმდენათ მძლავრი იყო, რომ მასის სულიერი ბატონობა პიროვნებაზე უზრუნველყოფილი იყო. ყველა თავის მოქმედებას ზომავდა იმის მიხედვით, თუ რა შეხედულობის იქნებოდა ამაზე მიტინგი და რევოლიუციონური ორგანიზაციები. როცა ამან, ასე ვსთქვათ, რევოლიუციონურმა პოეზიამ გაიარა და ჯერი მიდგა ნამდვილ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე, აი აქ ერთიანად გამოირკვა პასუხისგების შეგნების დაკარგვის მომაკვდინებელი შედეგი.

რევოლიუციის მძლავრი მოქნევის ზედგავლენით ერთნაირ კალაპოტში მომწყვდეული მასის სულიერი განწყობილების გადატეხა ძნელი შეიქმნა, იმდენათ ძნელი, რამდენათაც სახელმწიფო აღმშენებლობა მოითხოვდა ისეთს ურთიერთულ დამოკიდებულებას უფლებრივ ნიადაგზე, რომელიც, როგორც ერთნაირი დისციპლინის და პასუხისგების გამოხატულება, ერთი შეხედვით, განსაკუთრებით გარეგნულათ, მოგვაგონებდა ძველი რეჟიმის ზოგ თან ყოლილ თვისებებს.—

რევოლიუციის გარდამავალ ხანაში ბატონობდენ მიტინგები და მათგან არჩეული აღმასრულებელი კომიტეტები და ეს რევოლიუციის მოწყობის საუკეთესო და უსაჭიროესი ფორმა იყო, მაგრამ ამ ხანამ განვლო და ჩვენ დღეს გვყავს არა მარტო მთელი ჩვენი ქვეყნის სრულ წლოვან მოქალაქეთა მიერ ფარული კენჭით არჩეული დამფუძნებელი კრება და მისგან არჩეული მთავრობა ცენტრში, არამედ ამავე წესით არჩეული სამაზრო ერობა და თემები აქ, პერიფერიებში. ერთი მხრივ იცემა კანონი ჩვენი სახელმწიფოს აღსაშენებლათ, მეორე მხრივ ეწყობა შესაფერი ორგანოები ამ კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ. და, რამდენათაც ჩვენი სახელმწიფო მუშაობა ამ ნიადაგზე მტკიცდება, იმდენათ ღვიძებს, იფურჩქვნება და მკვიდრდება პასუხისგების შეგნება თითოეულ მოქალაქეში, რასაც ჩვენ უნდა ხელს უწყობდეთ მთელი ჩვენი შესაძლებლობით. და იქ, სადაც მთავრობის ორგანოები მოწყობილია, რევოლიუციის გარდამავალი ხანის წესებმაც უნდა დაუთმონ თავისი ადგილი დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერებას.

მაგრამ, სამწუხაროთ, ჯერ ყოველგან ეს ასე არ ხდება. გურიაშიც მოიპოვება ისეთი სოფლები, სადაც მიტინგები პირდაპირ ერევიან მართვა-გამგეობის საქმეში და ხშირათ კიდევაც უპირდაპირდებიან თემთა საბჭოებს, ან და გამოაქვთ ისეთი დადგენილებანი, რომლითაც ეწინააღმდეგებიან კანონის გადაწყვეტილებას. ასეთი დადგენილება ვერასოდეს პირდაპირ მიზანს ვერ აღწევს, საქმეს კი ერთიანად ასამარებს. ავიღოთ კონკრეტული მაგალითი, ვსთქვათ, რომელიმე თემმა, თანახმად სამაზრო ერობის ყრილობის დადგენილებისა, გადასწყვიტა გამოიწვიოს მოქალაქენი გზის გასაკეთებლათ. თვით ეს მოქალაქენი შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს სრულებით წინააღმდეგი; გინდ რომელიმე კუთხის საზოგადო კრებამ გადაწყვიტოს საფერშლო პუნქტის გინდ სხვა დაწესებულების იქ გადატანა, სადაც მას უნდა, ხოლო თემს კი არა.— ასეთს გარემოებებს მოყვება მართვა—გამგეობის კანონიერების და თვით სრული საქმის დასამარება.—

რესპუბლიკის ნამდვილი მოქალაქე ის არის, ვინც მის კანონს ემორჩილება. დამფუძნებელი კრების კანონი ხალხის მიერ მიღებული კანონია, რომელსაც უსიტყვოთ უნდა ემორჩილებოდენ ყველა მოქალაქენი. არავითარ მიტინგს აქ უფლება არა აქვს. ურჩი სასტიკათ უნდა დაისაჯოს.

თემის საბჭო ხალხის და მთავრობის ორგანიზაციაა, მას დავალებული აქვს განსაზღვრული ხნის განმავლობაში ისე მართოს ხალხის საქმე, როგორც კანონი უბრძანებს და სინიდისი უკარნახებს. არავითარ მიტინგს არ შეუძლია ჩაერიოს მის საქმეში, თემის დადგენილების გასაჩივრება შეიძლება სამაზრო ერობაში, სამინისტროში ან სასამართლოში წესის და კვალათ. მეორე მხრივ თვით ის თემი, რომელიც გადაუხვევს კანონის ბრძანებას და სინიდისის კარნახს, რომელიმე მიტინგის ან გარეშე ძალის ზედგავლენით, სასტიკათ უნდა იქმნეს დასჯილი.

თუ ამრჩეველთა ერთსულოვნება შეადგენს თემის საბჭოს სიძლიერეს, მეორე მხრივ თვით ამ საბჭოს ავტორიტეტი ამომრჩეველთა საქმის კეთილათ წაყვანის აუცილებელი პირობაა.

ამიტომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, მიტინგმა პოლიტიკური და საზოგადო საქმეები არჩიოს, თემის საბჭომ და გამგეობამ მართვისა და გამგეობის საქმეებს ემსახუროს. მხოლოდ ამ პირობების დაცვით განმტკიცდება ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა ყველა ჩვენგანის საკეთილდღეოთ.

# სიძვირე

ცხოვრება გაძნელდა, ყოველგვარ საქონელზე ფასი დღითი დღე იზრდება, ფულის ღირებულება სულ დაბლა ეშვება. ყველა ჩივის, წუწუნებს, აწმყოს უმადურია, წარსულს ნეტარებით იგონებს, მყობადის მოლოდინში უიმედობა იპყრობს.

გამოსავალი სად არის—(ყველა ამას გაიძახის), ხსნა საიდან მოვა—ყველა ამაზე ფიქრობს და უბედურება იმაშია, რომ ფიქრი ზერელეა, მოვლენათა გარკვევაში აზრს სიღრმე და ცოდნა აკლია.—

რა მოხდა. ეხლა სიმინდი ას-ოცი მანეთი რატომ ღირს, წინეთ თუ სამი აბაზი ფასობდა, აი საკითხი, რომელიც მოქალაქეს აღონებს, ყველას თავში ძნელ ამოცანათ იჭრება, გარკვევას და გამოცნობას მოითხოვს.—

ჩვეულებრივი აზრი შორს არ იხედება, ის თვალხილულ მოვლენას ჩასჭიდებია და ამ ღრმა მოვლენის მიზეზათ ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას, ხან პიროვნებას ასახელებს. მიუხედავათ ამგვარი ყალბი შეხედულებისა საკითხის დასმა აუცილებელია, მისი გარკვევა, შეფასება და შესაფერი სამოქმედო გეზის აღება პირველი და აუცილებელი საქმეა სახელმწიფოსა და მისი ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებისთვის. ეკონომიური აღორძინება, თავს დატეხილ გაჭირვების განელება, ეს ისეთი საქმეა, რომლის გაკეთება პირველ რიგში უნდა იქნას დასმული. უმთავრესი ყურადღება აქ ეკონომიურ ამოცანის გადაჭრას უნდა მივაპყრათ, ჩვენი ცდა იქით უნდა მივმართოთ, თუ როგორ და რა გზით აღვადგინოთ დაშლილი საწარმოვო ძალები.

მაგრამ პირველ ყოვლისა უნდა შევიტყოთ, თუ რამ დაარღვია ჩვენი კეთილდღეობა, რამ გამოიწვია ცხოვრების ასეთი გაძვირება.

მშვიდობიან დროს ფაბრიკა ქარხნებში მუშის შრომით ხალხისთვის საჭირო და მოსახმარი ნივთები მზადდებოდა, რომლებითაც ხალხი ყველა თავის მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა. საქონელი ბაზარზე საკმაო და ხან მეტიც იყო, რეალური ღირებულება იქმნებოდა (საქონლის სახით), რომლის ნაწილი იხარჯებოდა, ნაწილი კი კვლავ წარმოებას უბრუნდებოდა, რომ მისი საშვალებით, მისი წარმოებაში დაბანდებით ახალი წარმოება შეექმნა. წარმოებას არ აკლდებოდა, წინაალმდეგ ემატებოდა საწარმოვო იარაღის, ნედლი მასალის სახით, რომელთა შემწეობით, შესაძლებელია, წარმოების განვითარება გაძლიერდეს და გადიდებული მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს.—

მშვიდობიან დროს წარმოება, შექმნილ ღირებულებათა გადატან—გადმოტანა, საქონლის სარგებლობა ხდება დაუბრკოლებლათ, რკინის გზა და ზღვა ბაზარს ემსახურება, იქით მიზიდავს საქონელს, სადაც მეტი მოთხოვნილებაა, სადაც ესა თუ ის საქონელი მეტათ ფასდება და ბლომათ საღდება.

შრომა, როგორც ერთი აუცილებელი ნაწილი წარმოებისა, ერთგვარათ შეგუებულია და შრომის ნაყოფიერებაც ბევრათ სარფიანი. მშვიდობიან დროს სამუშავო ძალა საკმაოთ მოიპოვება წარმოების გასანვითარებლათ. — მაგრამ ხუთი წლის წინ მშვიდობიანობა დაირღვა, ომმა იფეთქა. ომი კი ისეთი მოვლენაა, რომელიც ერთიანათ სცვლის მეურნეობის ხასიათს და მიმართულებას და ხშირათ ძირიანათ შლის, ანგრევს დალაგებულ ეკონომიურ განწყობილებას. ომში ჩაბმული სახელმწიფო მთელ თავის ენერგიას იკრებს, რომ მტერი დაამარცხოს და ომიდან გამარჯვებული გამოვიდეს. ყველაფერი ომის საჭიროებას უნდა აკმაყოფილებდეს— აი საერთო ძახილი. მართლაც, სახელმწიფოს ეხლა ესაჭიროება საომარი იარაღი, საომარი მასალა და კიდეც ტარდება წარმოების მილიტარიზაცია, ფაბრიკა—ქარხნები, ასე ვთქვათ სამხედრო მდგომარეობაზე გადაყავთ, მეურნეობა

## სავეტერინარო განყოფილება.

სავეტერინარო განყოფილების დარგში შეიძლება აღინიშნოს ორი ხანა: 1) თუ რა კეთდებოდა წინეთ და 2) რა გააკეთა ერობამ.

ერობის სააღმშენებლო მუშაობის დაწყებამდი მაზრას ხელმძღვანელობდა ორი ექიმი— ვეტერინარი თითო თანაშემწითურთ. ცენტრებათ იყო არჩეული ქ. ოზურგეთი და ქ. ლანჩხუთი. ამისდა მიხედვით მაზრაც იყო დაყოფილი 2 უბნათ. პირველში, ე. ი, ოზურგეთის სავეტერინარო უბანში შედიოდა მთელი ყოფილი გურიანთის უბანი, ქ.. ოზურგეთი და მთები ბახმაროს და გომის რაიონებისა; მეორეში-კი ლანჩხუთის და ჩოხატაურის უბნები სურების მთის საზღვრებით. რადგანაც ეს დიდი რაიონები ხელს უშლიდა ნაყოფიერ მუშაობას, სიმაზრო ერობაბა მიაქცია ამ გარამოებას ჯეროვანი ყურადღება და დაჰყო მაზრა 3 სავეტერინარო უბნათ: 1) ოზურგეთის, 2) ლანჩხუთის, და 3) ჩოხატაურის. თვითეულ უბანში გახსნა ამბულატორია. დანიშნა თითო უბანში საკუთარი ექიმი თანაშემწეებითურთ. (ამჟამათ მაზრაში იმყოფება სამი ექიმი და ხუთი თანაშემწე). მიიღო პროექტი და დაამტკიცა შტატი თანაშემწეობის პუნქტების გახსნისა სუფსაში, აკეთში, სურებში, ხვარბეთში და სხვაგან, რაც სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი შეძლებისდაგვარათ. ამბულატორიები ჯერჯერობით კარგათ არ არის მოწყობილი უსახსრობისა გამო. აგრეთვე ერობამ დაარსა გამგეობასთან სავეტერინარო განყოფილება, მოიწვია გამგე-ვეტერინარი-ექიმი, რომელსაც ევალება ყოველივე საქმის წარმოება ხსენებულ დარგისა.

გაგრძელება იქნება

## სკოლა.

განათლების განყოფილების გამგე მთავ. ინსტრუქტორმა გ. გოგუაძემ დეკემბრის განმავლობაში ჩამოიარა ზემო-გურიის თემები და დაათვალიერა შემდეგი სასწავლებლები: დაწყებითი, მეწიეთის, პაჭივსეულის, წიფნა-გვარის, შუბნის, ბჟოლიეთის, ხევის, ბუქსიეთის, ნაბეღლავის, ქვაბლის, ზოტის, ონჭიქეთის, ერკეთის, იანეულის, ბუკის-ციხის, დიდი ვანის, შუასურების, ზემო-სურების, თავსურების, თხილაგანის, კვირიკე-ზემოხეთის, ჩომეტო-კალაგონის, ბურნათის, ნანეიშვილისეულის, საყვავის-ტყის, დაბლა-ციხის, ფარცხმის, ჯვარცხმის, ახალ-შენის და გორა-ბერეჟოულის; უმაღლეს დაწყებითი: ხევის, საჭამიასერის და ჩოხატაურის. ჩამოთვლილ სასწავლებლებში მოხდა მოწაფეების გამოცდა და რვეულების გადასინჯვა. რევიზიის მოკლე ანგარიში დაეგზავნებათ სასწავლებლებს. საერთო შთაბეჭდილება სკოლებიდან დამაკმაყოფილებელია.

## თემის ცხოვრებიდან.

ჩიბათის თემის საბჭომ 27 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა:

1, მიეცეს წინადადება მეწისქვილეებს, რომ 15 იანვრამდე გააკეთონ უბრალო ხის სასწორი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება ფქვილის და სიმინდის აწონა. ფუთ სიმინდზე უნდა აიღონ სამი გირვანქა დანაკლისიანა.

2, გაიმართოს კრებები სხვა და სხვა კუთხეში და გამოეცხადოს ხალხს, რომ რიონის ნაპირების შესაკეთებლათ მუშაობა სავალდებულოა.—

**ჩიბათი.** ჩიბათის თემისათვის უპირველესად საჭიროა არხების გაყვანა. დაბალ გურიაში ჩიბათი ითვლებოდა ერთ მოსავლიან ადგილად, მაგრამ ოთხი—ხუთი წელი იქნება უმრავლესობას სარჩოც კი არ მოსდის. უმთავრესი ამის მიზეზი არის მდინარეები, როგორც რიონი, აგრეთვე ადგილობრივი მდინარეები. რაც შეეხება რიონს, უკვე მიღებულია ზომები მის ნაპირების გასამაგრებლად, მხოლოდ მეტი ზრუნვა უნდა ადგილობრივ არხების გაყვანას. თემის გამგეობის და რაიონის ტეხნიკის აზრი უკვე წარდგენილია სამაზრო ერობაში. მხოლოდ საჭიროა საარხო კომის ის და სამაზრო ერობის მიერ ადრე იქმნას დადასტურებული, რომ თემი ადრე შეუდგეს არხების გაყვანას, რომელიც აუცილებელი არის თემისათვის, როგორც ეკონომიურის, აგრეთვე ჯანმრთელობის მხრითაც.

როგორც რედაქცია გვასწავლის, სასურველია და საჭირო თვით ჩვენ ვეპატრონოთ ჩვენს თავს. ჩვენ ვიცით, რომ მარტო სურვილები არ კმარა. კაპიტალისტურ ხანაში კაპიტალი და საწარმოვო ასპარეზი არის საჭირო. აუცილებელი არის ჩიბათის თემს დარჩეს ის საფონდო მიწები, რომლის სია თემის გამგეობას წარდგენილი აქვს სამაზრო ერობაში, ამასთანავე ის ორი ნაკვეთი მიწაც, სიაში მოხსენებული, რომელსაც მეპატრონენი არ უთმობენ თემს საზოგადო დანიშნულებისათვის. იმ შემთხვევაში თუ მეპატრონენი, მათგან ნორმაზედ ზევით ჩამორთმეულ მიწას არ დასჯერდებიან იმ ორ მიწის სანაცვლოთ, აუცილებელი საჭიროა თემისათვის ის მიწები იქმნას შეფასებით ჩამორთმეული, რომ მით გაეხსნას თემს მოქმედების ასპარეზი მომავალში.

სანიტარულ გადასახადის აკრეფა ჩიბათის თემმა ვერ მოასწრო, მაგრამ ყოველივე ზომით ცდილობს დაუყონებლივ მოკრიფოს ის. ხალხმა უკვე იგრძნო გადასახადის აკრეფის აუცილებლობა. მიზანშეწონილი იქნება, თუ სამაზრო ერობა ფულის აკრეფის-ვადას გააგრძელებს მაინც იანვრის დამლევამდე. ხალხიც არ არის დამნაშავე, ვინაიდან სამი თვის განმავლობაში ჩიბათის თემში გაეწერა დაახლოვებით (300,000 მ.) სამასი ათასი მანეთი ასე მოკლე დროში. სხვათა შორის გამოსვლებიც მოხდა, რომელმაც ხელი შეუშალა, როგორც გაწერას აგრეთვე აკრეფასაც.

გ. ბლიაძ.

## კითხვა—პასუხი.

**კითხვა:** ძველი წყობილების დროს მედიატორულ ხელწერილს სოფლად ამტკიცებდა სოფლის საზოგადოების მამასახლისი, მედიატორული სასამართლოს დადგენილება-განაჩენი შეჰქონდათ სოფლის კანცელიარიის წიგნში და ამ სახით უკეთებდენ მას რეგისტრაციას. ძველი სოფლის სამმართველოს და მამასახლისის ადგილი დაიკავა თემის საბჭომ და გამგეობამ თავის მილიციით, მაგრამ ამ მედიატორულ ხელწერის არ ეხება არც საბჭო. არც გამგეობა არც მისი მილიცია, გთხოვთ გვაცნობოთ ვისი საქმეა სამედიატორო ხელწყრილის დამტკიცება სოფლად.-

**პასუხი.** — რესპუბლიკაში მომქმედი კანონების თანახმად სამედიატორო ხელწერილი უნდა შეადგინოს და დაამტკიცოს უსათუოდ ნოტარიუსმა. სადაც ნოტარიუსი არ არის, იქ კი მომრიგებელ მოსამართლემ. მთელს გურიაში მომრიგებელი მოსამართლე არჩევს საქმეს შემდეგ დაბა ქალ.-ბში ოზურგეთში, ნაგომარში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში და სუფსაში. ამ რაიონებიდან მარტო ოზუოგეთში არის ნოტარიუსი. ამის გამო მედიატორული ხელწერილის ნოტარიუსთან გაკეთება სავალდებულოა მხოლოდ ოზუგეთის სამომრიგებლო უბნის მცხოვრებთათვის, რომელშიაც შედის ქ. ოზურგეთი, დუაბზუს, შემოქმედის, ლიხაურის, გურიანთის და ხვარბეთის თემები. დანარჩენ თემთა მცხოვრებთ შეუძლიან გააკეთონ ასეთი ხელწერილი იმ უბნის მომრიგებელ მოსამართლესთან, რომელშიაც მათი თემი შედის.

## სალამი.

მომილოცავს ახალი წელი, თანაც ახალი ორგანო თემებისათვის. საუკეთესო აზრი დაბადებია და კიდევაც განუხორციელებია სამაზრო ერობის გამგეობას. ეს არის გურიის თემების და სამაზრო ერობის შუა შემაერთებელი ძაფის გამბა, „გურიის ერობის მოამბის“ გამოცემა.

ეს ორგანო მით უფრო სასურველია, რომ თვით რედაქცია წინადადებას აძლევს თემებს „მოგვმართეთ, გვკითხეთ, რაც ვიცით გასწავლით, რაც არ ვიცით, სხვას დავიხმარებთ, თან სწერეთ მოურიდებლათ, ამით თქვენც მოგეშველებით და ჩვენც ვისწავლითო“. სასურველია, მეტი ადგილი ეთმობოდეს კითხვა—პასუხს, რომლითაც გაერკვევა თემები და საზოგადო მოღვაწენი. ულოცავ რედაქციას მიზანშეწონილი აზრის განხორციელებას, თემებსაც უსურვებ მათზე დაკისრებული მძიმე მოვალეობა პირნათლად შეესრულებიოთ. მაშ ვწეროთ ჩვენს ჟურნალს პროგრამზე.

გ. ბლიაძ.

## „ერობის მოამბის“ რედაქციის საყურადღებოდ.

დემოკრატიული ერობა უნდა სცდილობდეს გააბას ხალხთან მჭიდრო კავშირი, თუ უნდა, რომ მისი მუშაობა ნაყოფიერი დარჩეს. რომ თავიდან ავიცდინოთ ხშირათ უბრალო გაუგებრობაზე აღმოცენებული უკმაყოფილება,—საჭიროა ერობის მუშაობა ხალხისათვის თვალსაჩინო, დასანახი გახდეს. ეს ხალხთან დაახლოვება ერობის გამგეობას ააცილებს მრავალ შეცდომებს და მის მუშაობას სწორ-კალაპოტში ჩააყენებს.

ამ მიზნის მისაღწევათ ერთ საუკეთესო საშუალებათ უნდა ჩაითვალოს გაზეთის გამოცემა, რომლის საშუალებით ერობის მოღვაწეობა გამოეფინება ყველა დარგში, ხალხური—გასაგები ენით, მიეცემა განმარტება ყველა ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებზე და ხალხს გაუადვილდება ნამდვილი მტერ—მოყვარის გამოცნობა.

ამიტომ ჩვენი „ერობის მოამბის“ გამოცემა მეტად სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. გამგეობამ და სარედაქციო კოლეგიამ არ უნდა დაზოგოს ძილონე, რათა გაზეთის გამოცემის საქმე მკვიდრ ნიადაგზე იქმნას დაყენებული. სხვათა შორის საჭიროა თავის დროზე მიექცეს შესაფერი ყურადღება გაზეთის მიწოდების საქმეს. ამ მხრივ კი მდგომარეობა ძალიან უნუგეშოა. განსაკუთრებული პირობების გამო ბევრი თვალსაჩინო რაიონი, სხვათა შორის ისეთი დიდი რაიონიც კი, როგორც არის ჩოხატაური, მოწყვეტილია სამაზრო ცენტრს იმის გამო, რომ ამ ადგილებში არ- არის სისტემატიური მსვლელობა ეტლის. გამგეობამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა დიდი დაბრკოლება გადალახულ იქმნას და მოაწყოს სისტემატიური მსვლელობა ეტლის ოზურგეთიდან თვალსაჩინო რაიონებში და უპირველესათ და აუცილებლათ კი ჩოხატაურში. პირველ ხანებში, თუ ყოველ დღიურათ არა, კვირაში ორხელ ან ერთხელ მაინც. დანიშნულ დღეს უნდა გაემგზავროს ასეთ ადგილებში ეტლი, რომელიც სხვათა შორის წაიღებს გაზეთებსაც და თავის დროზე მიაწვდის ხალხს. „ერობის მოამბის“ გადაგზავნის საქმე უბრალო შემთხვევაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, თუ გვინდა, რომ მისმა გამოცემამ მიზანს მიაღწიოს.

ოზურგ. სამაზრო ერობის ხმოსანი **მიხ. რამიშვილი.**

რედაქტორი—კოლეგია.
გამომცემელი—ოზურგ. სამაზრო ერობის გამგეობა.

სტამბა ალექ. ა. კალატოზიშვილისა ქ. ოზურგეთში